სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

25002214581122

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220343405

რეგისტრაციის თარიღი

30.03.2022 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე ჯელაძე
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №49-51-51ა, სართული 2
ტელეფონი: 2434380

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათასოცდაორი წლის ოცდაათ მარტს მე, ნოტარიუს ეკატერინე ჯელაძის შემცვლელ პირს არჩილ ხუციძეს, სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი 49-51-51ა, სართული 2, მომმართა შპს „კორტები“-ს (ს/ნ 405493194) დირექტორმა **დავით კოპაძემ** (დაბ. 27.01.1987წ., მცხ. თბილისი ილია ჭავჭავაძის გამზ. N 49ბ ბ. 20, პირადი #01013024950, საქართველოს მოქალაქის პასპორტი 10CC33266). მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტითა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე აქტი და წავუკითხე მხარეს. მხარემ წაიკითხა აქტი, მოიწონა და ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა თავისი ხელმოწერა.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს „კორტები“, შემდგომში “მიმნდობი” წარმოდგენილი დირექტორის **დავით კოპაძის** მიერ, **გიორგი ხმალაძეს** (დაბ. 15.04.1982წ. პირადი #35001018932), შემდგომში “მინდობილი პირი”, ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

„მინდობილი პირი“ უფლებამოსილია იყოს „საკუთრების მიმნდობი“-ს წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სამსახურში „საკუთრების მიმნდობი“-ს კუთვნილ უძრავ ქონებაზე მდებარე მისამართი, ქალაქი თბილისი, თამარაშვილის ქუჩა N13 (ს/კ 01.10.16.004.282), ფუნქციური ზონის ცვლილებასთან, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით. შეიტანოს განცხადება, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი ცნობა, დოკუმენტი, ინფორმაცია, ამონაწერი. „საკუთრების მიმნდობი“-ს ნაცვლად მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტს, ხელშეკრულებას და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესასრულებლად. მინდობილობა ძალაშია 2024 წლის 31 მარტამდე.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში და დაერთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გადახდილია 13.80 ლარი, მათ შორის სანოტარო საზღაური 10.00 ლარი, დღგ 1.80 ლარი და სანოტარო ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლებისა, აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

დავით კოპაძე _____

ნოტარიუსის შემცვლელი პირი _____ არჩილ ხუციძე